სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/17 26-02. 2021 წ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საგაზაფხულო სემესტრში, 2021 წლის 1 მარტიდან, სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 24 თებერვლის № 159323 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2020-2021 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი განხორციელდეს 2021 წლის პირველი მარტიდან უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით (№ 01-04/120 2.12.2020) დამტკიცებული სასწავლო გრაფიკის მიხედვით.
2. 2021 წლის 1 მარტიდან უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან, სამაგისტრო, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა წარიმართოს შერეული სახით.
3. 2021 წლის 1 მარტიდან საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული/სემინარული/ლაბორატორიული/კლინიკური/საგამოცდო სწავლების კომპონენტები წარმართოს არადისტანციურ რეჟიმში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემოწმების საფუძველზე შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცით.
4. 2021 წლის 1 მარტიდან საგანმანათლებლო პროგრამის ლექციის კომპონენტები წარმართოს დისტანციურ რეჟიმში.
5. მედიცინის ფაკულტეტის დეკანატს მიეცეს უფლება სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს გაითვალისწინოს ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლების სპეციფიკა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემოწმების საფუძველზე შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცით.
6. სალექციო პროცესი წარიმართოს დისტანციურად ონ-ლაინ პლატფორმაზე (Microsoft teams).
7. დაევალოს ფაკულტეტის დეკანებს და ფაკულტეტის ადმინისტრაციას:

7.1. ბრძანება დაიყვანონ თითოეულ სტუდენტამდე და აკადემიურ პერსონალამდე.

7.2. ლექცია - პრაქტიკუმების ჩატარება განახორციელონ, უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის (ასოც. პროფ. შ. კირთაძის) ხელმოწერით დამტკიცებული, სასწავლო ცხრილების დაცვით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს ინდივიდუალური დროებითი ცხრილების ფორმირება, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან შეთანხმებით;

7.3. წარმოადგინონ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, ელექტრონულად, დამტკიცებული სასწავლო ცხრილები, კორპუსების და აუდიტორიების მითითებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარსადგენად.

7.4. უზრუნველყონ სასწავლო პროცესის წარმართვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემოწმების საფუძველზე შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცით.

8. დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა იხელმძღვანელოს ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის(ENQA) მიერ 2018 წელს შემუშავებული ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპებით.

9. ბრძანება ძალაშია 2021 წლის 1 მარტიდან.

10. უნივერსიტეტის კანცელარიამ (ე. ცირეკიძე) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა ფაკულტეტების დეკანებთან, დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან და განთავსება უნივერსიტეტის ყველა კორპუსში თვალსაჩინო ადგილზე.

11. მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

12. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შ. კირთაძემ.

13. საფუძველი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 24 თებერვლის №153323 ბრძანება.

რექტორი — პროფ. როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი — პროფ. იმერ ბასილაძე